ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 190

"8" ივლისი 2016 წ.

ქ. თბილისი

შპს „საქართველოს ფოსტისთვის" (ს/კ №203836233) მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საიჯარო ქირის წლიური საფასურის შეთანხმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-5 პუნქტის და "ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის - „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესი" მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „საქართველოს ფოსტისთვის" (ს/კ №203836233) მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთვის თანხმობის მიცემისა და საიჯარო ქირის წლიური საფასურის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 22 ივნისის №24.23.524 განკარგულების დანართი №1-ით განსაზღვრული მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთების საერთო ქირის წლიური საფასური 8400 (რვა ათას ოთხასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი